Ying et al. გამოიკვლიეს 3.945 კაცი და 2.141 ქალი აბდომინური სიმსუქნით. კვლევაში აჩვენა, რომ კორელაციის კოეფიციენტი აპოB/აპოA-I თანაფარდობასა და ინსულინრეზისტენტობას შორის იყო უფრო მაღალი ვიდრე დსლ-სა და ინსულინრეზისტენტობას შორის ორივე სქესში (მეტი განსხვავებით ქალებში). ორივე, დსლ და აპოB/აპოA-I თანაფარდობა, იყო მეტს-ის დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორი, და აპოB/აპოA-I თანაფარდობა იყო უფრო ძლიერი ამ თვალსაზრისით (353).

Belfki et al. დაადგინეს, რომ ტუნისის პოპულაციაში (330 პაციენტი 35-74 წლამდე) აპოB/აპოA-I თანაფარდობა იყო ძლიერ ასოცირებული მეტს-თან, მის ყველა კომპონენტთან, მეტს-ის კომპონენტების მზარდ რაოდენობასთან და ინსულინრეზისტენტობასთან (354). სხვა კვლევაში აჩვენა, რომ პაციენტებს უფრო მაღალი აპოB დონით ჰქონდათ მეტს-ის კომპონენტების უფრო მაღალი პროპორცია იმ პაციენტებთან შედარებით ვისაც ჰქონდა უფრო მაღალი დსლ და აპოB-ს ნორმალური დონე (355).

Enkhma et al. შეისწავლეს ევროპელების და აფრო-ამერიკელების რამოდენიმე ეთნიკური ჯგუფი და შექმნეს კარდიოვასკულური რისკის ქულათა შისტემა, რომელიც აღმოჩნდა მნიშვნელოვნად მომატებული აპოB/აპოA-I თანაფარდობის ტერტილების მიხედვით. მათ დაასკვნეს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა განსხვავდებოდა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით და ასოცირდებოდა მეტს-თან ორივე ჯგუფში (356).

Carnevale et al. შეისწავლეს რა 616 პაციენტი ნორმალური ტოლერანტობით გლუკოზის მიმართ, დაასკვნეს რომ ნორმალური ტოლერანტობის და დსლ < 100 მგ/დლ პირობებში, უფრო მაღალი აპოB/აპოA-I თანაფარდობა ამქდავნებს ათეროგენულ ლიპიდურ პროფილს, ხაზს უსვამს რა დსლ-ს არასაკმარისობას კარდიოვასკულური რისკის განსაზღვრისას. დსლ-ის დამოუკიდებლად, როდესაც აპოB/აპოA-I თანაფარდობა უფრო დაბალია, ლიპიდური ცვლანაკლებად ათეროგენულია. კვლევა აჩვენებს რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა, როგორც მინიმუმ, “ავსებს” დსლ-ს ეფექტური კარდიოვასკულური რისკ-პროფილის იდენტიფიცირებაში ასიმპტომურ პაციენტებში ნორმალური გლუკოზოტოლერანტობით (357).

Tamang et al. (358) შეისწავლეს 45 პაციენტი კარდიოვასკულური დაავადებით და 44 ჯანმრთელი პაციენტი როგორც კონტროლი. მათ დაასკვნეს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა კარდიოვასკულური დაავადებების სტატისტიკურად უკეთესი პრედიქტორია ვიდრე ტრადიციული ლიპიდური მაჩვენებლები.

თავი 2. გამოკვლევის მასალა და მეთოდები

2.1 მონაწილე სუბიექტები

ჩვენ გავაანალიზეთ 1522 ევროპეიდული წარმოშობის საქართველოს მოქალაქე, რომლებმაც მიმართეს ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ბაზა) და შპს „მედიკორს“ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ბაზა), სამედიცინო შემოწმებისთვის 2012-2013 წლებში. სუბიექტები იყვნენ მამაკაცები და არა-ორსული ქალები ასაკით 18-დან 80 წლამდე (653 ქალი და 869 მამაკაცი), რომლებმაც გაიარეს სამედიცინო შემოწმება და იყვნენ უზმოდ 8 საათის განმავლობაში. გამორიცხვის კრიტერიუმები იყო: აპოB, აპოA-I, მეტს-ის კომპონენტების, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (დსლ), საერთო ქოლესტერინის (სქ) მონაცემების არარსებობა, ყველა შემთხვევა ანამნეზში დიაბეტის არსებობისა, და/ან სუბიექტები, რომლებიც იღებდნენ მედიკამენტებს ამ დაავადების გამო, და/ან სუბიექტები, რომლებსაც აღენიშნებოდათ უზმოდ გლუკოზის დონე ≥ 7 მმოლ/ლ (126 მგ/დლ), და/ან ჭამის შემდეგ გლუკოზის დონე ≥ 11.1 მმოლ/ლ (200 მგ/დლ).

2.2 ანთროპომეტრიული და ლაბორატორიული მონაცემები

სიმაღლის და წონის გამოთვლა ხდებოდა სტანდარტული მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენებით. წელის გარშემოწერილობა (წგ) იზომებოდა ფეხზე დამდგარ მდგომარეობაში დრეკადი ლენტით (სანტიმეტრით) ბოლო ნეკნებსა და თეძოს ძვლის ქედებს შორის გავლებული ხაზის შუა წერტილზე. სხეულის მასის ინდექსი (BMI) გამოითვლებოდა როგორც წონა (კგ) / (სიმაღლე [მ])².

სისტოლური (სწ) და დიასტოლური (დწ) წნევა იზომებოდა ორჯერ, დამჯდარ მდგომარეობაში, სულ მცირე 15-წუთიანი დასვენების შემდეგ. ამ ორი გაზომვის შემდეგ მიღებული მონაცემების საშუალო არითმეტიკული სიდიდე მიიჩნეოდა წნევის მაჩვენებლად, რომელიც შემდეგ გამოიყენებოდა სტატისტიკურ ანალიზში.

ინსულინის სენსიტიურობის ინდექსი გაიზომა თანამედროვე გაუმჯობესებული კომპიუტერული ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი-ინსრ ინდექსით (HOMA2-IR). ვენური სისხლის ნიმუშების აღება ხდებოდა მინიმუმ 8-საათიანი უზმოდ ყოფნის შემდეგ. აპოB და აპოA-I-ს კონცენტრაციები იზომებოდა იმუნოტურბიდიმეტრული მეთოდით როშეს დიაგნოსტიკური აპარატით, როშე/ჰიტაჩის C311 ანალიზატორის გამოყენებით. გლუკოზა იზომებოდა ფერმენტული ჟანგვის შემდეგ გლუკოზა-ოქსიდაზას თანაობისას HUMAN დიაგნოსტიკური აპარატით (გერმანია), HUMALYZER 2000-ის გამოყენებით. საერთო ქოლესტერინის (სქ) დონე იზომებოდა ფერმენტული ჰიდროლიზის და ჟანგვის შემდეგ ფერმენტული კოლორიმეტრული ტესტით ქოლესტერინისთვის, ლიპიდების გაწმენდის ფაქტორით (HUMAN დიაგნოსტიკური აპარატი, გერმანია), HUMALYZER 2000 ანალიზატორის გამოყენებით. მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი (მსლ) იზომებოდა სხვა ლიპოპროტეინების დალექვის შემდეგ დარჩენილ სუპერნატანტში, ფოსფოტუნგსის მუავის და მაგნიუმის ქლორიდის გამოყენებით და ცენტრიფუგირებით HUMAN დიაგნოსტიკური აპარატით (გერმანია), HUMALYZER 2000 ანალიზატორის გამოყენებით. ტრიგლიცერიდების (ტრიგ) გაზომვა ხდებოდა ფერმენტული ჰიდროლიზის შემდეგ ლიპაზების მეშვეობით, ფერმენტული კოლორიმეტრული ტესტის გამოყენებით ტრიგლიცერიდებისთვის, ლიპიდების გაწმენდის ფაქტორით (დიაგნოსტიკური აპარატი, გერმანია), HUMALYZER 2000 ანალიზატორის მეშვეობით. დსლ ითვლებოდა ფრიდვალდის ფორმულით. როდესაც ტრიგ-ის დონე მეტი ან ტოლი იყო 200 მგ/დლ (2.3 მმოლ/ლ), დსლ -ს კონცენტრაცია განისაზღვრებოდა პირდაპირი მეთოდით HUMALYZER 2000 ანალიზატორით. ინსულინის გაზომვა ხდებოდა ELISA მეთოდით HUMAN დიაგნოსტიკური აპარატის მეშვეობით (გერმანია), ELISYS UNO ანალიზატორის გამოყენებით.

2.3 მეტაბოლური სინდრომის განმარტება

მეტს-ის (240) განმარტებისთვის გამოიყენებოდა თანამედროვე გაუმჯობესებული მმპ-III (ATP-III) დეფინიცია, როდესაც სამი ან მეტი

კრიტერიუმი იყო წარმოდგენილი ქვემოთ ჩამოთვლილიდან: წელის გარშემოწერილობა (წგ) ≥ 102 სმ მამაკაცებში და ≥ 88 სმ ქალებში; უზმოდ სისხლში გლუკოზა (უგ) ≥ 5.6 მმოლ/ლ (100 მგ/დლ); სისტოლური წნევა (სწ) ≥ 130 მმ. ვ.წყ.სვ. და/ან დიასტოლური წნევა (დწ) ≥ 85 მმ. ვ.წყ.სვ., ან წინათ დიაგნოსტირებული ჰიპერტენზიის მკურნალობის შემთხვევა ანამნეზში; ტრიგლიცერიდების (ტრიგ) კონცენტრაცია უზმოდ ≥ 1.7 მმოლ/ლ (150 მგ/დლ) ან ამ პათოლოგიის მკურნალობის შემთხვევა ანამნეზში; მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (მსლ) კონცენტრაცია უზმოდ < 1.03 მმოლ/ლ (40 მგ/დლ) მამაკაცებში და < 1.30 მმოლ/ლ (50 მგ/დლ) ქალებში ან ამ პათოლოგიის მკურნალობის შემთხვევა ანამნეზში.

2.4 არტერიული ჰიპერტენზიის განმარტება

სუბიექტებს დაესვათ არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზი, თუ ისინი იღებდნენ ანტიჰიპერტენზიულ მედიკამენტებს და/ან აღენიშნებოდათ სისტოლური წნევა ≥ 140 მმ.ვ.წყ.სვ., და/ან დიასტოლური წნევა ≥ 90 მმ. ვ.წყ.სვ., როგორც ეს განსაზღვრულია უკანასკნელ ხანს გამოცემული სისხლის მაღალი წნევის პრევენციის, გამოვლენის, შეფასებისა და მკურნალობის გაერთიანებული ეროვნული კომიტეტის მერვე ანგარიში-ს მიხედვით (JNC-8) (359).

2.5 დისლიპიდემიის განმარტება

სუბიექტებს დაუდგინდათ დისლიპიდემია თუ მათ აღენიშნებოდათ ტრიგლიცერიდების (ტრიგ) დონე უზმოდ ≥ 1.7 მმოლ/ლ (150 მგ/დლ), და/ან უზმოდ მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (მსლ) დონე < 1.03 მმოლ/ლ (40 მგ/დლ) მამაკაცებში და < 1.30 მმოლ/ლ (50 მგ/დლ) ქალებში, და/ან უზმოდ საერთო ქოლესტერინის (სქ) დონე ≥ 5.2 მმოლ/ლ (200 მგ/დლ), და/ან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (დსლ) დონე უზმოდ ≥ 4.10 მმოლ/ლ (160 მგ/დლ), და/ან ამ პათოლოგიისთვის განკუთვნილი მედიკამენტების მიღება ანამნეზში.

თავი 3. გამოკვლევები

3.1 აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის კავშირი მეტაბოლურ სინდრომსა და მის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დონესთან საქართველოს მოსახლეობაში

3.1.1 სტატისტიკური ანალიზი

ყველა ანალიზი შესრულდა IBM SPSS სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით Windows-ისთვის (ვერსია 22.0).

კვლევაში მონაწილე სუბიექტები დაიყო ორ ჯგუფად (მაღალი აპოB/აპოA-I თანაფარდობის და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობის ჯგუფები). მაღალი აპოB/აპოA-I თანაფარდობის ჯგუფი განისაზღვრა როგორც აპოB/აპოA-I თანაფარდობის გენდერ-სპეციფიური უმაღლესი კვარტილი (≥ 0.88 ქალებისთვის და ≥ 1.0 მამაკაცებისთვის), ხოლო დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობის ჯგუფი - როგორც დანარჩენი სამი კვარტილი (< 0.88 ქალებისთვის და < 1.0 მამაკაცებისთვის). ინსულინ-რეზისტენტობა განისაზღვრა, როგორც გენდერ-სპეციფიური უმაღლესი კვარტილი HOMA2-IR-ისთვის (≥ 2.3 ქალებისთვის და ≥ 2.9 მამაკაცებისთვის).

ჩვენ გამოვიყენეთ Mann-Whitney U ტესტი, რათა შეგვედარებინა შესაბამისი მონაცემები სხვადასხვა სქესის სუბიექტებს შორის, ასევე მეტს-ით და მის გარეშე სუბიექტებს შორის, და მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობის მქონე სუბიექტებს შორის. გამოვიყენეთ ჩის კვადრატული (Chi-square) ტესტი მეტს-ისა და ინსრ-ის გავრცელების შესადარებლად მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობის მქონე სუბიექტებს შორის, ასევე რათა შეგვედარებინა ირსრ-ის გავრცელება მეტს-ით და მის გარეშე სუბიექტებს შორის.

შესრულდა სპირმენის ნაწილობრივი კორელაციის ანალიზი აპოB/აპოA-I თანაფარდობის კავშირის დასადგენად მეტს-ის კომპონენტებთან, ასევე მეტს-თან და ინსრ-თან როგორც განსაზღვრებებთან, სხეულის მასის ინდექსთან, საერთო ქოლესტერინთან და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინთან (დსლ) მამაკაცებსა და ქალებში (ასაკის კონტროლით).

შესრულდა ბინარული ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზი, რათა შეგვეფასებინა აპოB/აპოA-I თანაფარდობის კავშირი მეტს-ის კომპონენტებთან, დსლ-თან, მეტს-თან და ინსრ-თან როგორც განსაზღვრებებთან. წელის გარშემოწერილობის (წგ) მაღალი კორელაციის გამო სისტოლურ წნევასთან ($r=0.695$), დიასტოლურ წნევასთან ($r=0.699$), მეტს-სა ($r=0.688$) და HOMA2-IR-თან ($r=0.708$), ასევე წგ-ს კოლინეარულობის პრობლემის გამო ინსრ-თან, ეს ცვლადი მონაცემი არ იქნა შეტანილი რეგრესიის მოდელებში.

პრედიქტორი ცვლადების შერჩევა მოხდა entry (ბლოკური სელექციის) - მეთოდით.

ყველა შესრულებული ტესტისთვის, სტატისტიკურად სარწმუნოდ მიჩნეული იქნა $p < 0.05$.

3.12 შედეგები

აპოB/აპოA-I თანაფარდობა, აპოB, ასაკი, მეტაბოლური სინდრომის კომპონენტები, უზმოდ ინსულინი (უი), სმი, სქ, დსლ, HOMA2-IR დონეები ყველა აღმოჩნდა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი, ხოლო მსლ და აპოA-I-ს დონეები მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იმ სუბიექტებში, რომელთაც ჰქონდათ მეტს და მაღალი აპოB/აპოA-I თანაფარდობა იმათთან შედარებით, ვისაც არ ჰქონდა მეტს და ჰქონდა დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობა, ორივე სქესში ($p < .0001$; ასაკისთვის მეტს-ის ჯგუფში ქალებისთვის $p = .008$). ინსრ-ის გავრცელება უფრო მაღალი იყო სუბიექტებში მეტს-ით და მაღალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით იმ სუბიექტებთან შედარებით, ვისაც არ აღენიშნებოდა მეტს და ჰქონდათ დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობა, ორივე სქესისთვის (ყველა მაჩვენებლისთვის $p < .0001$). მეტს-ის გავრცელება ასევე უფრო მაღალი იყო სუბიექტებში მაღალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით ვიდრე მათში, ვისაც აღენიშნებოდა დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობა, ორივე სქესში ($p < .0001$) (ცხრილები 3-6).

კვლევაში მონაწილე სუბიექტები დაყავით 4 ქვეჯგუფად, მეტს-ის კომპონენტების რიცხვიდან გამომდინარე (0, 1, 2, ≥ 3). აღმოვაჩინეთ მზარდი და მნიშვნელოვანი მატება აპოB/აპოA-I თანაფარდობის საშუალო მონაცემებისა,

რომელიც პარალელურად თან სდევდა მეტს-ის კომპონენტების მზარდ რიცხვს, ორივე სქესის სუბიექტებში ($p < .0001$) (ჰისტოგრამა 1).

ცხრილი 3. მასხასიათებლები სუბიექტებში მეტს-ით და მის გარეშე (ქალები)

N = 653	მეტს-ის გარეშე		მეტს-ით		
ქალები n (%)	463(70.9)		190(29.1)		
ასაკი	46	±18	50	±16	.008
აპოB/აპოA-I თანაფარდობა	0.62	±0.17	0.93	±0.29	<.0001
აპოA-I (გ/ლ)	1.05	±0.31	1.04	±0.53	<.0001
აპოB (გ/ლ)	0.65	±0.22	0.97	±0.39	<.0001
სწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	114	±11	142	± 20	<.0001
დწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	73	±7	94	± 9	<.0001
წგ (სმ)	78	±9.6	98	±8	<.0001
სმი (კგ/მ ²)	22.8	±3.72	33.1	±5.98	<.0001
მსლ (მმოლ/ლ)	1.49	±0.18	1.19	±0.19	<.0001
დსლ (მმოლ/ლ)	2.60	±0.40	3.07	±0.54	<.0001
უგ (მმოლ/ლ)	4.93	±0.65	6.30	±0.5	<.0001
უი (მიკროერთ/მლ)	8.43	±4.11	26.8	±12.25	<.0001
ტრიგ (მმოლ/ლ)	1.61	±0.13	1.96	±0.34	<.0001
სქ (მმოლ/ლ)	4.19	±0.60	5.10	±0.62	<.0001
HOMA2-IR	1.22	±0.5	3.45	±1.5	<.0001
ინსრ n (%)	20	(4.3)	141	(74.2)	<.0001*

მონაცემები გამოსახულია როგორც საშუალოს ± სტანდარტული შეცდომა

Mann-Whitney U ტესტი განხორციელდა იმისათვის რომ შეგვედარებინა მონაცემები სუბიექტებში მეტს-ით და მის გარეშე.

*ჩის კვადრატული ტესტი (Chi-square test) გამოვიყენეთ რომ შეგვედარებინა ინსრ-ის სისშირე სუბიექტებში მეტს-ით და მის გარეშე.

აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; აპოA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; აპოB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ - დიასტოლური წნევა; წგ- წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; უი - ინსულინი უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ – საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი2 - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; ინსრ - ინსულინრეზისტენტობა

ცხრილი 4. მასხასიათებლები სუბიექტებში მეტს-ით და მის გარეშე (მამაკაცები)

N = 869	მეტს-ის გარეშე		მეტს-ით		
მამაკაცები n (%)	507(58.3)		362(41.7)		
					P-Value
ასაკი	42	±18	48	±16	<.0001
აპოB/აპოA-I თანაფარდობა	0.72	±0.15	1.03	±0.30	<.0001
აპოA-I (გ/ლ)	1.03	±0.34	1.01	±0.54	<.0001
აპოB (გ/ლ)	0.74	±0.25	1.04	±0.38	<.0001
სწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	127	±17.6	164	± 24	<.0001
დწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	81	±10.2	100.5	± 14.8	<.0001
წგ (სმ)	84.7	±7.4	103	±11.8	<.0001
სმი (კგ/მ ²)	24.8	±4.7	33	±7.1	<.0001
მსლ (მმოლ/ლ)	1.29	±0.17	1.04	±0.20	<.0001
დსლ (მმოლ/ლ)	2.67	±0.46	3.59	±0.72	<.0001
უგ (მმოლ/ლ)	5.10	±0.46	6.03	±0.62	<.0001
უი (მიკროერთ/მლ)	9.73	±4.67	23.21	±10.03	<.0001
ტრიგ (მმოლ/ლ)	1.72	±0.27	2.40	±0.45	<.0001
სქ (მმოლ/ლ)	4.50	±0.60	5.40	±0.69	<.0001
HOMA2-IR	1.33	±0.53	3.03	±1.28	<.0001
ინსრ n (%)	11	(2.2)	199	(55)	<.0001*

მონაცემები გამოსახულია როგორც საშუალოს ± სტანდარტული შეცდომა

Mann-Whitney U ტესტი განხორციელდა იმისათვის რომ შეგვედარებინა მონაცემები სუბიექტებში მეტს-ით და მის გარეშე.

*ჩის კვადრატული ტესტი (Chi-square test) გამოვიყენეთ რომ შეგვედარებინა ინსრ-ის სისშირე სუბიექტებში მეტს-ით და მის გარეშე.

აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; აპოA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; აპოB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ - დიასტოლური წნევა; წგ- წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; უი - ინსულინი უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ – საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი2 - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; ინსრ - ინსულინრეზისტენტობა

ცხრილი 5. მახასიათებლები სუბიექტებში მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით (ქალები)

N = 653	დაბალი თანაფარდობა		მაღალი თანაფარდობა		
ქალები n(%)	489(74.9)		164(25.1)		
ასაკი	46	±18	47	±15	P-Value NS
აპოA-I (გ/ლ)	1.11	±0.64	0.96	±0.31	<.0001
აპოB (გ/ლ)	0.64	±0.20	1.05	±0.38	<.0001
სწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	116	±13.4	141	±20.7	<.0001
დწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	74	±9.1	87	±11.5	<.0001
წგ (სმ)	80	±10.7	96	±11	<.0001
სმი (კგ/მ ²)	23.45	±4.66	32.69	±6.32	<.0001
მსლ (მმოლ/ლ)	1.47	±0.20	1.21	±0.19	<.0001
დსლ (მმოლ/ლ)	2.64	±0.42	3.02	±0.61	<.0001
უგ (მმოლ/ლ)	5.04	±0.74	6.19	±0.64	<.0001
უი (მიკროერთ/მლ)	9.23	±6.13	27.22	±11.93	<.0001
ტრიგ (მმოლ/ლ)	1.64	±0.21	1.91	±0.33	<.0001
სქ (მმოლ/ლ)	4.22	±0.60	5.16	±0.58	<.0001
HOMA2-IR	1.32	±0.74	3.51	±1.45	<.0001
მეტს n (%)	66	(13.5)	123	(75)	<.0001*
ინსრ n (%)	34	(7)	128	(78)	<.0001*

მონაცემები გამოსახულია როგორც საშუალოს ± სტანდარტული შეცდომა

Mann-Whitney U ტესტი განხორციელდა იმისათვის რომ შეგვედარებინა მონაცემები სუბიექტებში მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით.

*ჩის კვადრატული ტესტი (Chi-square test) გამოვიყენეთ რომ შეგვედარებინა მეტს-ის და ინსრ-ის სიხშირე სუბიექტებში მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით. აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; აპოA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; აპოB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ - დიასტოლური წნევა; წგ- წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; უი - ინსულინი უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ – საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი2 - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; ინსრ - ინსულინრეზისტენტობა

ცხრილი 6. მახასიათებლები სუბიექტებში მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით (მამაკაცები)


N = 869	დაბალი თანაფარდობა		მაღალი თანაფარდობა		
მამაკაცები n(%)	650(74.8)		219(25.2)		
					P-Value
ასაკი	44	±18	46	± 15.6	<.0001
აპოA-I (გ/ლ)	1.09	±0.47	0.95	±0.29	<.0001
აპოB (გ/ლ)	0.76	±0.28	1.16	±0.35	<.0001
სწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	132	±19.9	172	± 25	<.0001
დწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	84	±12	104	± 16	<.0001
წგ (სმ)	88	±9.7	106	±13	<.0001
სმი (კგ/მ ²)	25.8	±5.6	35.2	±6.27	<.0001
მსლ (მმოლ/ლ)	1.26	±0.17	0.97	±0.2	<.0001
დსლ (მმოლ/ლ)	2.80	±0.55	3.81	±0.70	<.0001
უგ (მმოლ/ლ)	5.33	±0.63	5.97	±0.69	<.0001
უი (მიკროერთ/მლ)	11.85	±6.87	25.73	±10.39	<.0001
ტრიგ (მმოლ/ლ)	1.86	±0.41	2.44	±0.45	<.0001
სქ (მმოლ/ლ)	4.65	±0.66	5.55	±0.71	<.0001
HOMA2-IR	1.59	±0.83	3.4	±1.33	<.0001
მეტს n (%)	173	(26.6)	189	(86.3)	<.0001*
ინსრ n (%)	60	(9.2)	150	(68.5)	<.0001*

მონაცემები გამოსახულია როგორც საშუალოს ± სტანდარტული შეცდომა

Mann-Whitney U ტესტი განხორციელდა იმისათვის რომ შეგვედარებინა მონაცემები სუბიექტებში მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით.

*ჩის კვადრატული ტესტი (Chi-square test) გამოვიყენეთ რომ შეგვედარებინა მეტს-ის და ინსრ-ის სიხშირე სუბიექტებში მაღალი და დაბალი აპოB/აპოA-I თანაფარდობით.

აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; აპოA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; აპოB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ - დიასტოლური წნევა; წგ- წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; უი - ინსულინი უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ – საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი2 - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; ინსრ - ინსულინრეზისტენტობა



ჰისტოგრამა 1. აპოB/აპოA-I თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელი სქესისა და მეტს-ის კომპონენტების მიხედვით

აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა, მეტს - მეტაბოლური სინდრომი, *n* - სუბიექტთა რაოდენობა
 საშუალოების შედარება განხორციელდა კრუსკალ-ვალის ტესტით (Kruskal-Wallis Test) ($p < .0001$).

აპოB/აპოA-I თანაფარდობის სპირმენის ნაწილობრივი კორელაციის შედეგები მეტს-ის კომპონენტებთან, მეტს-თან და ინსრ-თან როგორც განსაზღვრებებთან, HOMA2-IR-თან, სმი-თან, სქ-თან და დსლ-თან (ასაკის კონტროლით) ნაჩვენებია ცხრილ 7-ში. აპოB/აპოA-I თანაფარდობა დადებით კორელაციაში იყო მეტს-ის კომპონენტებთან, მეტს-თან და ინსრ-თან როგორც განსაზღვრებებთან, HOMA2-IR-თან, დსლ-თან და სქ-თან და უარყოფით კორელაციაში იყო მსლ-თან ორივე სქესის ჯგუფებში (ყველა მონაცემისთვის $p < .0001$).

ლოგისტიკური რეგრესიის მოდელებმა აჩვენა, რომ ასაკისა და სქესის კონტროლის შემდეგ, აპოB/აპოA-I თანაფარდობა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული მეტს-თან (OR=1.86), ინსრ-თან (OR=9.83), დსლ-თან (OR=1.99), მაღალ სწ-თან (OR=3.31), მაღალ დწ-თან (OR=1.64), მაღალ უგ-თან (OR=2.46), მაღალ ტრიგ-თან (OR= 2.52) და დაბალ მსლ-თან (OR=7.08) (ყველა მონაცემისთვის $p < .05$) (ცხრილი 8).

ცხრილი 7. სპირმენის ნაწილობრივი კორელაციის კოეფიციენტები აპოB/აპოA-I თანაფარდობასა და მეტს-ის კომპონენტებს, მეტს-ის და ინსრ-ის როგორც განსაზღვრებების, HOMA2-IR, სმი-ს, დსლ-ს და სქ-ს შორის ორივე სქესში (კონტროლი ასაკით)

	ქალი (n=653)	მამაკაცი (n=869)
სწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	.562**	.636**
დწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	.479**	.605**
წგ (სმ)	.519**	.659**
სმი (კგ/მ ²)	.547**	.543**
მსლ (მმოლ/ლ)	-.534**	-.580**
უგ (მმოლ/ლ)	.595**	.397**
ტრიგ (მმოლ/ლ)	.388**	.500**
დსლ (მმოლ/ლ)	.369**	.601**
სქ (მმოლ/ლ)	.595**	.503**
HOMA2_IR	.681**	.644**
მეტს (განსაზღვრება)	.539**	.566**
ინსრ (განსაზღვრება)	.658**	.568**

** . კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე(ორმაგი).

აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; აპოA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; აპოB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ - დიასტოლური წნევა; წგ- წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ – საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი2 - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; ინსრ - ინსულინრეზისტენობა

ცხრილი 8. აპოB/აპოA-I თანაფარდობის ლოგისტიკური რეგრესიული მოდელები მეტს-ის კომპონენტებთან, მეტს-სა და ინსრ-თან როგორც განსაზღვრებებთან და დსლ-თან (ასაკისა და სქესის კონტროლის შემდეგ)

n = 1522	B	S.E.	Wald	p	OR	95% CI for OR	
						Lower	Upper
მეტს (განსაზღვრება)	.619	.310	3.980	.046	1.857	1.011	3.413
ინსრ (განსაზღვრება)	2.285	.230	98.863	< .0001	9.830	6.265	15.424
დსლ (მმოლ/ლ)	.687	.159	18.779	< .0001	1.989	1.457	2.714
სწ \geq 130 (მმ.ვ.წყ.სვ.)	1.196	.283	17.847	< .0001	3.306	1.898	5.757
დწ \geq 85 (მმ.ვ.წყ.სვ.)	.496	.242	4.188	.041	1.642	1.021	2.640
უგ \geq 5.6 (მმოლ/ლ)	.900	.228	15.524	< .0001	2.460	1.572	3.849
ტრიგ \geq 1.7 (მმოლ/ლ)	.925	.278	11.045	.001	2.522	1.461	4.351
მსლ < 1.03 for men; < 1.30 for women	1.957	.213	84.627	< .0001	7.077	4.664	10.738

მოდელის Nagelkerke R²: 0.635

OR: ალბათობის კოეფიციენტი, CI - სარწმუნოების ინტერვალი, S.E. – სტანდარტული შეცდომა, B – რეგრესიის კოეფიციენტი, W – ვალდის სტატისტიკა, აპოB/აპოA-I თანაფარდობა - აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა, სწ - სისტოლური წნევა, დწ - დიასტოლური წნევა, წგ - წელის გარშემოწერილობა, მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, უგ - გლუკოზა უხმოდ, ტრიგ - ტრიგლიცერიდები

3.2 აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის, მეტაბოლური სინდრომის კომპონენტების, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის კავშირი ინსულინრეზისტენტობასთან საქართველოს პოპულაციაში

3.2.1 სტატისტიკური ანალიზი

ყველა ანალიზი შესრულდა IBM SPSS სტატისტიკის პროგრამის გამოყენებით Windows-ისთვის (ვერსია 22.0). ინსრ განისაზღვრებოდა როგორც HOMA2-IR-ის გენდერ-სპეციფიური უმაღლესი კვარტილი, ხოლო ინსულინ-სენსიტიურობა (ინსს) - როგორც დანარჩენი სამი კვარტილი. ჩვენ გამოვიყენეთ Mann-Whitney U ტესტი, რათა შეგვედარებინა რელატიური მონაცემები სხვადასხვა სქესის სუბიექტებს შორის და ინსრ-ულ და ინსს-ურ ინდივიდებს შორის. ჩის კვადრატული (Chi-square) ტესტი გამოვიყენეთ, რათა შეგვედარებინა მეტს-ის, არტერიული ჰიპერტენზიის და დისლიპიდემიის სიხშირე სხვადასხვა სქესის ჯგუფებში და ინდივიდებში ინსრ-ით და ინსს-ით. HOMA2-IR-ის კავშირის გამოსავლენად აპოB/აპოA-I თანაფარდობასთან, მეტს-ის კომპონენტებთან, სმი-თან, სქ-თან და დსლ-თან მამაკაცებსა და ქალებში (ასაკის კონტროლით) შესრულდა სპირმენის ნაწილობრივი კორელაციის ანალიზი. შემდგომი ნაწილობრივი კორელაციის ანალიზი აპოB/აპოA-I თანაფარდობის HOMA2-IR-სთან შესრულდა ორივე სქესის ჯგუფისთვის, ასაკის, მეტს-ის კომპონენტების, სმი-ის, სქ-ის და დსლ-ის მაჩვენებლების კონტროლის შემდეგ.

ინსრ-ის აპოB/აპოA-I თანაფარდობასთან, მეტს-ის კომპონენტებთან და დსლ-თან კავშირის შესაფასებლად განხორციელდა ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზი. HOMA2-IR-ის მაღალი კორელაციის გამო სქ-ს ($r=0.73$), წგ-სა ($r=0.72$) და სწ-თან ($r=0.72$), ეს ცვლადი სიდიდეები არ იქნა ჩართული რეგრესიის მოდელებში. პრედიქტორი ცვლადების შერჩევა განხორციელდა entry (ბლოკური სელექციის) მეთოდით. ინსრ-ის განსაზღვრაში აპოB/აპოA-I თანაფარდობის და მეტს-ის კომპონენტების დამატებითი წვლილის შესაფასებლად გამოყენებული იქნა მრავლობითი ლინეარული რეგრესიის მოდელი (საფეხურებრივი მეთოდი). ყოველი ცვლადის პრედიქტიული

ცხრილი 9. მახასიათებლები სხვადასხვა სქესის ჯგუფებში

	ჯამი (n=1 522)		ქალი (n=653; 43%)		მამაკაცი (n=869; 57%)		P-სიდიდე
ასაკი	45	±18	46	±18	44	±17	.023
აპოB/აპოA-I თანაფარდობა	0.79	±0.3	0.71	±0.3	0.85	±0.3	<.0001
აპოA-I (გ/ლ)	1.06	±0.42	1.07	±0.39	1.06	±0.44	<.0001
აპოB (გ/ლ)	0.81	±0.34	0.74	±0.31	0.86	±0.34	<.0001
სწ (მმ.გ.წყ.სვ.)	134	±26	123	±19	142	±28	<.0001
დწ (მმ.გ.წყ.სვ.)	84	±15	77	±11	89	±16	<.0001
წგ (სმ)	88	±14	83	±13	92	±13	<.0001
სმი (კგ/მ ²)	27	±7	25	±5.5	28	±7	<.0001
მსლ (მმოლ/ლ)	1.28	±0.3	1.41	±0.2	1.19	±0.2	<.0001
დსლ (მმოლ/ლ)	2.92	±0.7	2.74	±0.5	3.06	±0.7	<.0001
უგ (მმოლ/ლ)	5.42	±0.8	5.33	±0.9	5.49	±0.7	<.0001
უი (მიკროერთ/მლ)	14.66	±10.5	13.75	±11.17	15.35	±9.94	<.0001
ტრიგ (მმოლ/ლ)	1.89	±0.4	1.73	±0.3	2.0	±0.5	<.0001
სქ (მმოლ/ლ)	4.70	±0.8	4.46	±0.7	4.88	±0.8	<.0001
HOMA2-IR	1.57	±0.50	1.87	±1.36	2.04	±1.24	<.0001
მეტს n (%)	552	(36.3)	190	(29.1)	362	(41.7)	<.0001
აჰ n (%)	742	(48.8)	185	(28.3)	557	(64.1)	<.0001
დისლიპიდემია	783	(51.4)	265	(40.6)	518	(59.6)	<.0001

მონაცემები გამოსახულია საშუალო სიდიდეს ± SD (სტანდარტული შეცდომა).

სხვადასხვა სქესის ჯგუფებს შორის მონაცემთა შესადარებლად გამოვიყენეთ Mann-Whitney U ტესტი. სხვადასხვა სქესის ჯგუფებს შორის მეტს-ის, არტერიული ჰიპერტენზიის და დისლიპიდემიის სიხშირის შესადარებლად გამოვიყენეთ ჩის კვადრატული (Chi-square) ტესტი.

აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; აპოA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; აპოB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ - დიასტოლური წნევა, წგ- წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; უი - ინსულინი უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ – საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი2 - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; აჰ - არტერიული ჰიპერტენზია.

ღირებულება შეფასდა ყოველი მოდელიდან მიღებული R^2 სიდიდეების შედარებით.

3.2.2 შედეგები

მანასიათებლები სხვადასხვა სქესის ჯგუფებში მოცემულია ცხრილ 9-ში.

აპოB/აპოA-I თანაფარდობა, აპოB, არტერიული წნევის მაჩვენებლები, წგ, სმი, დსლ, უგ, უი, ტრიგ, სქ და HOMA2-IR, მეტს-ის, არტერიული ჰიპერტენზიის და დისლიპიდემიის სისშირე - ყველა ეს მონაცემი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, მაგრამ მსლ და აპოA-I დონეები მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იყო მამაკაცებში ქალებთან შედარებით (ყველა მონაცემისთვის $p < .0001$).

ამგვარად, ჩვენ მოვახდინეთ ანალიზის სტრატეგიცირება სქესის მიხედვით. ინსულინრეზისტენტული სუბიექტები ორივე სქესის ჯგუფში იყვნენ უფრო ასაკოვნები და ჰქონდათ აპოB/აპოA-I თანაფარდობის, აპოB-ს, სისტოლური და დიასტოლური წნევის, წგ, სმი, დსლ, უგ, უი, ტრიგ, სქ და HOMA2-IR-ის უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებლები, ვიდრე ინსულინსენსიტიურ სუბიექტებს. პირიქით, ინსულინრეზისტენტულ სუბიექტებს აღმოაჩნდათ მნიშვნელოვნად უფრო დაბალი მსლ-ის და აპოA-I-ის დონეები ინსულინსენსიტიურ სუბიექტებთან შედარებით (ყველა მონაცემისთვის $p < .0001$). მეტს-ის, არტერიული ჰიპერტენზიის და დისლიპიდემიის სისშირე გაცილებით უფრო მაღალი იყო ინსრ სუბიექტებში (ყველა მონაცემისთვის $p < .0001$) (ცხრილი 10-11). აპოB, აპოB/აპოA-I თანაფარდობა და დსლ-ის დონეები მნიშვნელოვნად და თანდათანობით მატულობდა HOMA2-IR კვარტილების შესაბამისად (ცხრილი 12).

HOMA2-IR-ის ნაწილობრივი კორელაციის ანალიზის შედეგები აპოB/აპოA-I თანაფარდობასთან, მეტს-ის კომპონენტებთან, სმი, სქ და დსლ-თან მამაკაცებსა და ქალებში ნაჩვენებია ჰისტოგრამა 2-ში. აპოB/აპოA-I თანაფარდობის შემდგომი ნაწილობრივი კორელაცია განხორციელდა ინსრ-სთან მამაკაცებსა და ქალებში (ჰისტოგრამა 3). აღმოჩნდა, რომ მათ შორის ისევე იყო მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია ($r=0.321$ ქალებში და 0.209 მამაკაცებში, ორივე ჯგუფისთვის $p < .0001$).

ცხრილი 10. მახასიათებლების განსხვავება ინსულინრეზისტენტულ და ინსულინსენსიტიურ ჯგუფებს შორის (ქალებში)

ქალები n (%)	ინსულინ-სენსიტიური	ინსულინ-რეზისტენტული	P-სიდიდე
ასაკი	45.5 ±18.25	50.95 ± 15.07	<.0001
აპოB/აპოA-I თანაფარდობა	0.62 ±0.17	1.0 ± 0.23	<.0001
აპოA-I (გ/ლ)	1.08 ±0.35	1.06 ±0.47	<.0001
აპოB (გ/ლ)	0.65 ±0.22	1.01 ±0.39	<.0001
სწ (მმ.გ.წყ.სვ.)	115 ±12.4	144 ± 18.38	<.0001
დწ (მმ.გ.წყ.სვ.)	74 ±8.28	89 ±11.06	<.0001
წგ (სმ)	79 ±10.36	98 ±7.75	<.0001
სმი (კგ/მ ²)	23 ±4.04	34.05 ±5.48	<.0001
მსლ (მმოლ/ლ)	1.47 ±0.20	1.20 ±0.18	<.0001
დსლ (მმოლ/ლ)	2.62 ±0.38	3.09 ±0.63	<.0001
უგ (მმოლ/ლ)	5.0 ±0.71	6.30 ±0.53	<.0001
უი (მიკროერთ/მლ)	8.24 ±3.31	30.44 ±9.94	<.0001
ტრიგ (მმოლ/ლ)	1.63 ±0.15	1.97 ±0.37	<.0001
სქ (მმოლ/ლ)	4.20 ±0.59	5.24 ±0.55	<.0001
მეტს n (%)	49 (10)	141 (87)	<.0001
აჰ n (%)	63 (12.8)	122 (75.3)	<.0001
დისლიპიდემია n (%)	110 (22.4)	155 (95.7)	<.0001

მონაცემები გამოსახულია როგორც საშუალოს ± SD. იმისათვის, რომ შეგვედარებინა მონაცემები ინსულინსენსიტიურ და ინსულინრეზისტენტულ ჯგუფებს შორის, განხორციელდა Mann-Whitney U ტესტი. მეტს-ის, არტერიული ჰიპერტენზიის და დისლიპიდემიის სიხშირის შესადარებლად ინსულინსენსიტიურ და ინსულინრეზისტენტულ ჯგუფებს შორის გამოვიყენეთ ჩის კვადრატული (Chi-square) ტესტი. აპოB/აპოA-I თანაფარდობა - აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; ApoA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; ApoB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ- დიასტოლური წნევა, წგ - წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; უი - ინსულინი უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ - საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი² - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; აჰ - არტერიული ჰიპერტენზია. ინსულინსენსიტიური (განსაზღვრული როგორც გენდერ-სპეციფიური პირველი სამი კვარტილი) – HOMA2-IR < 2.3; ინსულინრეზისტენტული (განსაზღვრული როგორც გენდერ-სპეციფიური ზედა კვარტილი) – HOMA2-IR ≥ 2.3.

ცხრილი 11. მახასიათებლების განსხვავება ინსულინრეზისტენტულ და ინსულინსენსიტიურ ჯგუფებს შორის (მამაკაცები)

	ინსულინ-სენსიტიური	ინსულინ-რეზისტენტული	
მამაკაცები n(%)	659(75.8)	210(24.2)	
ასაკი	42.4 ±17.6	52 ±14.65	P-სიდიდე
აპოB/აპოA-I თანაფარდობა	0.76 ±0.19	1.12 ±0.32	<.0001
აპოA-I (გ/ლ)	1.05 ±0.42	1.04 ±0.30	<.0001
აპოB (გ/ლ)	0.78 ±0.30	1.11 ±0.36	<.0001
სწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	133 ±21.77	171 ±23.26	<.0001
დწ (მმ.ვ.წყ.სვ.)	83.5 ±12.04	106 ±13.28	<.0001
წგ (სმ)	87.5 ±9.27	107.9 ±11.43	<.0001
სმი (კგ/მ ²)	25.5 ±5.19	36.58 ±5.39	<.0001
მსლ (მმოლ/ლ)	1.25 ±0.19	0.99 ±0.19	<.0001
დსლ (მმოლ/ლ)	2.81 ±0.57	3.85 ±0.63	<.0001
უგ (მმოლ/ლ)	5.31 ±0.6	6.07 ±0.69	<.0001
უი (მიკროერთ/მლ)	10.82 ±4.99	29.58 ±7.96	<.0001
ტრიგ (მმოლ/ლ)	1.86 ±0.42	2.46 ±0.42	<.0001
სქ (მმოლ/ლ)	4.63 ±0.64	5.64 ±0.65	<.0001
მეტს n (%)	163 (24.7)	199 (94.8)	<.0001
აჰ n (%)	377 (57.2)	180 (85.7)	<.0001
დისლიპიდემია n (%)	313 (47.5)	205 (98)	<.0001


მონაცემები გამოსახულია როგორც საშუალოს ± SD. იმისათვის, რომ შეგვედარებინა მონაცემები ინსულინსენსიტიურ და ინსულინრეზისტენტულ ჯგუფებს შორის, განხორციელდა Mann-Whitney U ტესტი. მეტს-ის, არტერიული ჰიპერტენზიის და დისლიპიდემიის სიხშირის შესადარებლად ინსულინსენსიტიურ და ინსულინრეზისტენტულ ჯგუფებს შორის გამოვიყენეთ ჩის კვადრატული (Chi-square) ტესტი. აპოB/აპოA-I თანაფარდობა - აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; ApoA-I - აპოლიპოპროტეინ A-I; ApoB - აპოლიპოპროტეინ B; სწ - სისტოლური წნევა; დწ- დიასტოლური წნევა, წგ - წელის გარშემოწერილობა; სმი - სხეულის მასის ინდექსი; მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; უგ - გლუკოზა უზმოდ; უი - ინსულინი უზმოდ; ტრიგ - ტრიგლიცერიდები; სქ - საერთო ქოლესტერინი; HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი2 - ინსრ; მეტს - მეტაბოლური სინდრომი; აჰ - არტერიული ჰიპერტენზია. ინსულინსენსიტიური (განსაზღვრული როგორც გენდერ-სპეციფიური პირველი სამი კვარტილი) - HOMA2-IR < 2.9; ინსულინრეზისტენტული (განსაზღვრული როგორც გენდერ-სპეციფიური ზედა კვარტილი) - HOMA2-IR ≥ 2.9.

ცხრილი 12. აპოB/აპოA-I თანაფარდობის შედარება დსლ-თან HOMA2-IR კვარტილებს შორის ქალებსა და მამაკაცებში

სქესი	კვარტილები	სუბიექტები n(%)	აპოB	აპოB/აპოA-I თანაფარდობა	დსლ
ქალი	1 (<1.0)	163 (25)	0.48	0.52	2.33
	2 (1.0-1.29)	162 (24.8)	0.71	0.62	2.64
	3 (1.30-2.29)	166 (25.4)	0.77	0.71	2.89
	4 (\geq 2.30)	162 (24.8)	1.01	1	3.09
მამაკაცი	1 (<1.10)	218 (25.1)	0.64	0.66	2.45
	2 (1.10-1.49)	216 (24.9)	0.84	0.76	2.82
	3 (1.50-2.89)	225 (25.8)	0.87	0.86	3.16
	4 (\geq 2.90)	210 (24.2)	1.11	1.12	3.85

კვარტილები - HOMA2-IR-ის კვარტილები შესაბამისი მაჩვენებლებით, აპოB - აპოლიპოპროტეინ B; აპოB/აპოA-I თანაფარდობა - აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა; დსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი.

ჰისტოგრამა 2. HOMA2-IR-ის აპოB/აპოA-I თანაფარდობასთან, მეტს-კომპონენტებთან, სმი (სხეულის მასის ინდექსი), სქ-სა და დსლ-თან სპირმენის ნაწილობრივი კორელაციის (r) ანალიზი მამაკაცებსა და ქალებში (ასაკის კონტროლით)




ნაწილობრივი კორელაცია: სპირმენის ნაწილობრივი კორელაციის კოეფიციენტი r;

p (ორმაგი) < .0001

თანაფ-და - აპოB/აპოA-I თანაფარდობა, სწ - სისტოლური წნევა, დწ - დიასტოლური წნევა, წგ - წელის გარშემოწერილობა, სმი- სხეულის მასის ინდექსი, მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, უგ – უზმოდ გლუკოზა, ტრიგ - ტრიგლიცერიდები, სქ - საერთო ქოლესტერინი, HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი 2-ინსრ.

ჰისტოგრამა 3. აპოB/აპოA-I თანაფარდობის ნაწილობრივი კორელაცია HOMA2-IR-თან (ასაკის, სწ, დწ, წგ, სმი, მსლ, დსლ, უგ, ტრიგ და სქ მონაცემების კონტროლით) ორივე სქესში



ნაწილობრივი კორელაცია: სპირმენის ნაწილობრივი კორელაციის კოეფიციენტი r; p (ორმაგი) < .0001

აპოB/აპოA-I თანაფარდობა - აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა, სწ - სისტოლური წნევა, დწ - დიასტოლური წნევა, წგ - წელის გარშემოწერილობა, სმი- სხეულის მასის ინდექსი, მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, უგ - გლუკოზა უზმოდ, ტრიგ - ტრიგლიცერიდები, სქ – საერთო ქოლესტერინი, HOMA2-IR - ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი 2-ინსრ.

ლოგისტიკური რეგრესიის მოდელებმა აჩვენა, რომ სქესი, ასაკი, აპოB/აპოA-I თანაფარდობა, დიასტოლური წნევა, მსლ, დსლ, გლუკოზის და ტრიგლიცერიდების დონე უზმოდ წარმოადგენდნენ ცვლადებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ინსრ-ის არსებობასთან (OR: 8.64, 1.03, 17.95, 1.06, 0.13, 1.17, 3.75 და 2.29, შესაბამისად; ყველა მონაცემისთვის $p < 0.05$) (ცხრილი 13).

მრავლობითი რეგრესიის მოდელებმა აჩვენა, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა, უგ, დწ, სქესი, დსლ, ასაკი და ტრიგ იძლევა მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ წვლილს HOMA2-IR-ის პროგნოზირებაში (R^2 -ის ცვლილება: 0.421, 0.133, 0.039, 0.026, 0.014, 0.004, 0.002, შესაბამისად; ყველა სიდიდისთვის $p < 0.05$). ამასთან ApoB/ApoA-I კოეფიციენტი იყო ყველაზე ძლიერი პრედიქტორი (ცხრილი 14). მსლ იქნა მიჩნეული სტატისტიკურად უმნიშვნელოდ.

ცხრილი 13. ინსულინრეზისტენტობის პრედიქტორი ლოგისტიკური რეგრესიის მოდელები

n = 1522	B	S.E.	Wald	p	OR	95% CI OR-ისთვის	
						ქვედა	ზედა
სქესი (1)	2.137	.251	73.549	< .0001	8.641	5.279	14.146
ასაკი	.031	.006	29.592	< .0001	1.032	1.020	1.043
აპოB/აპოA-I თანაფარდობა	2.888	.412	49.187	< .0001	17.95	8.011	40.24
ღწ	.060	.009	48.439	< .0001	1.062	1.044	1.080
მსლ	-2.072	.542	14.599	< .0001	.126	.044	.365
დსლ	.155	.184	.711	.048	1.168	.814	1.675
უბ	1.321	.146	81.463	< .0001	3.749	2.813	4.994
ტრიგ	.829	.263	9.953	.002	2.290	1.369	3.833

მოდელის Nagelkerke R²: 0.693

OR: odds ratio, CI - სარწმუნოების ინტერვალი, S.E. – სტანდარტული შეცდომა, B – რეგრესიის კოეფიციენტი, W – ვალდის სტატისტიკა, აპოB/აპოA-I თანაფარდობა - აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა, სწ - სისტოლური წნევა, ღწ - დიასტოლური წნევა, უბ - წელის გარშემოწერილობა, მსლ - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი, უბ - გლუკოზა უხმოდ, ტრიგ - ტრიგლიცერიდები, სქ - საერთო ქოლესტერინი.

ცხრილი 14. მრავლობითი რეგრესიის მოდელები ინსულინრეზისტენტობის პროგნოზირებისთვის

პრედიქტორები	არასტანდარტიზებული კოეფიციენტები		სტანდარტიზებული კოეფიციენტები	t	R ² ცვლილება	სარწმუნოება
	B	სტანდარტული შეცდომა	Beta			
აპოB/აპოA-I თანაფარდობა	1.448	.099	.305	14.701	0.421	<.0001
უგ	.496	.031	.300	15.846	.133	<.0001
დწ	.019	.002	.225	9.321	.039	<.0001
სქესი	-.460	.045	-.176	-10.287	.026	<.0001
დსლ	.250	.045	.128	5.519	.014	<.0001
ასაკი	.005	.001	.062	3.929	.004	<.0001
ტრიგ	.199	.067	.067	2.954	.002	.003

R²-ის ცვლილება იანგარიშება ყველა მოდელიდან მიღებული R² სიდიდეების შედარებით.

კოეფიციენტები, t და p სიდიდეები ნაჩვენებია საბოლოო მოდელისთვის.

მოდელი 1: პრედიქტორები – აპოB/აპოA-I თანაფარდობა

მოდელი 2: პრედიქტორები – აპოB/აპოA-I თანაფარდობა და გლუკოზა უზმოდ (უგ)

მოდელი 3: პრედიქტორები – აპოB/აპოA-I თანაფარდობა, უგ და დიასტოლური წნევა (დწ)

მოდელი 4: პრედიქტორები – აპოB/აპოA-I თანაფარდობა, უგ, დწ და სქესი

მოდელი 5: პრედიქტორები – აპოB/აპოA-I თანაფარდობა, უგ, დწ, სქესი და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი (დსლ)

მოდელი 6: პრედიქტორები – აპოB/აპოA-I თანაფარდობა, უგ, დწ, სქესი, დსლ და ასაკი

მოდელი 7: პრედიქტორები – აპოB/აპოA-I თანაფარდობა, უგ, დწ, სქესი, დსლ, ასაკი და ტრიგლიცერიდები (ტრიგ)

3.3 აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებელი მეტაბოლური სინდრომისა და ინსულინ-რეზისტენტობის დიაგნოსტიკისთვის საქართველოს პოპულაციაში

3.3.1 სტატისტიკური ანალიზი

ყველა ანალიზი შესრულდა IBM SPSS Statistics პროგრამით Windows-ისთვის (ვერსია 22.0), გარდა ROC მრუდის ანალიზისა, რომელიც განხორციელდა MedCalc Software-თი (ვერსია 11.4.2).


IR განისაზღვრა, როგორც HOMA2-IR-ის გენდერ-სპეციფიური უმაღლესი კვარტილი (≥ 2.3 ქალებისთვის და ≥ 2.9 მამაკაცებისთვის), ხოლო ინსულინ-სენსიტიურობა (IS) - როგორც დანარჩენი სამი კვარტილი. იმისათვის, რომ შეგვეფასებინა აპოB/აპოA-I თანაფარდობის სარწმუნოება როგორც მეტს-ის და ინსრ-ის მარკერისა, ჩვენ შევქმენით გენდერ-სპეციფიური რესივერული ოპერატორის მახასიათებლების (ROC) მრუდები და გამოვითვალეთ მრუდის ქვეშ არსებული არეები (AUC), ასევე აპოB/აპოA-I თანაფარდობის ზღვრული მნიშვნელობები მეტს-სა და ინსრ-ის დიაგნოსტიკისთვის ორივე სქესში.

აპოB/აპოA-I თანაფარდობის ზღვრული მნიშვნელობების კავშირის შესაფასებლად მეტს-სა და ინსრ-თან (როგორც განსაზღვრებებთან), შესრულდა ბინარული ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზი (ასაკის, მეტს-ის კომპონენტების და დსლ-ის კონტროლის შემდეგ). ყველა შესრულებული ტესტისთვის p მაჩვენებელი < 0.05 მიჩნეული იყო სტატისტიკურად სარწმუნოდ.

3.3.2 შედეგები


აპოB/აპოA-I თანაფარდობის პრედიქტიული ღირებულების შეფასებისთვის მეტს-ის და ინსრ-ის დიაგნოსტიკაში, ჩვენ გავაანალიზეთ აპოB/აპოA-I თანაფარდობის ROC მრუდები (გრაფიკი 3-6). ROC ანალიზის შედეგები ორივე სქესისთვის ნაჩვენებია ცხრილ 15-ში. აპოB/აპოA-I თანაფარდობის AUC-ები

ROC – მრუდი
ქაღები




გრაფიკი 3. აპოB/აპო-I თანაფარდობის ROC-მრუდი მეტს-ის დიაგნოსტიკისთვის (ქაღები)

ROC – მრუდი
მამაკაცები




გრაფიკი 4. აპოB/აპო-I თანაფარდობის ROC-მრუდი მეტს-ის დიაგნოსტიკისთვის (მამაკაცები)

ROC – მრუდი
ქალები



გრაფიკი 5. აპოB/აპო-I თანაფარდობის ROC-მრუდი ინსრ-ის დიაგნოსტიკისთვის (ქალები)

ROC – მრუდი
მამაკაცები



გრაფიკი 6. აპოB/აპო-I თანაფარდობის ROC-მრუდი ინსრ-ის დიაგნოსტიკისთვის (მამაკაცები)

ცხრილი 15. აპოB/აპო-I თანაფარდობის ROC-მრუდის ანალიზის შედეგი მეტს-ის (ა) და ინსრ-ის (ბ) დიაგნოსტიკისთვის ორივე სქესში

(ა)

სქესი	AUC	სტანდარტული შეცდომა (S.E.)	p	95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი (CI)	
				ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
ქალი	.786	.025	.000	.737	.834
მამაკაცი	.815	.017	.000	.782	.847

(ბ)



სქესი	AUC	სტანდარტული შეცდომა (S.E.)	p	95%-იანი სარწმუნოების ინტერვალი (CI)	
				ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
ქალი	.887	.019	.000	.850	.924
მამაკაცი	.816	.022	.000	.773	.860

AUC – მრუდის ქვეშ არე; მეტს – მეტაბოლური სინდრომი; ინსრ – ინსულინ რეზისტენტობა

მეტს-ის დიაგნოსტიკისთვის იყო: 0.786 ქალებში და 0.815 მამაკაცებში; იგივე AUC-ები ინსრ-ის დიაგნოსტიკისთვის იყო: 0.887 ქალებში და 0.816 მამაკაცებში.



აპოB/აპოA-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებელი მეტს-ის დიაგნოსტიკისთვის იყო 0.74 (77.8% სენსიტიურობით და 83.6% სპეციფიურობით) ქალებში და 0.82 (78.7% სენსიტიურობით და 79.1% სპეციფიურობით) მამაკაცებში. აპოB/აპოA-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებელი IR-ის დიაგნოსტიკისთვის იყო 0.82 (87.7% სენსიტიურობით და 88.8% სპეციფიურობით) ქალებში და 0.98 (74.8% სენსიტიურობით და 88.3% სპეციფიურობით) მამაკაცებში (წერტილოვანი დიაგრამა 1-2).

ლოგისტიკური რეგრესიის მოდელებმა აჩვენა, რომ ასაკის, მეტს-ის კომპონენტების და დსლ-ის კონტროლის შემდეგ, აპოB/აპოA-I თანაფარდობის განსაზღვრული ზღვრული მაჩვენებლები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეტს-თან: OR - 1.75 ქალებში და 1.18 მამაკაცებში, ასევე ინსრ-თან: OR - 13.61 ქალებში და 7.75 მამაკაცებში (ყველა მაჩვენებლისთვის $p < .05$) (ცხრილი 16).



წერტილოვანი დიაგრამა 1. აპოB/აპოA-I თანაფარდობის ზღვრული მნიშვნელობების წერტილოვანი დიაგრამა მეტს-ის დიაგნოსტიკისთვის ორივე სქესში

Sens – ტესტის სენსიტიურობა %-ში; Spec – ტესტის სპეციფიურობა %-ში; მეტს – მეტაბოლური სინდრომი



წერტილოვანი დიაგრამა 2. აპოB/apoA-I თანაფარდობის ზღვრული მნიშვნელობების წერტილოვანი დიაგრამა ინსრ-ის დიაგნოსტიკისთვის ორივე სქესში

Sens – ტესტის სენსიტიურობა %-ში; Spec – ტესტის სპეციფიურობა %-ში; ინსრ - ინსულინრეზისტენტობა

ცხრილი 16. მეტს-ის და ინსრ-ის (როგორც განსაზღვრებების) ალბათობის კოეფიციენტი აპოB/აპოA-I თანაფარდობის განსაზღვრული ზღვრული მაჩვენებლების შესაბამისად ასაკის, მეტს-ის კომპონენტების და დსლ-ის კონტროლის შემდეგ

	ქალები			მამაკაცები		
	OR	95% CI	p	OR	95% CI	p
მეტს (განსაზღვრება)	1.75	.78 - 3.90	.026	1.18	.58 – 2.40	.047
ინსრ (განსაზღვრება)	13.61	6.49 – 28.54	< .0001	7.75	4.30 - 13.97	< .0001

OR - ალბათობის კოეფიციენტი, CI - სარწმუნოების ინტერვალი, მეტს - მეტაბოლური სინდრომი, ინსრ - ინსულინრეზისტენტობა, დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი

თავი 4. გამოკვლევის შედეგების განხილვა

ჩვენს კვლევაში აპოB/აპოA-I თანაფარდობის საშუალო მაჩვენებლები დაკავშირებული იყო მეტს-ის კომპონენტების რიცხვთან (ყველა მაჩვენებლისთვის $p < .0001$) (სურათი 1). ასევე ნანახი იქნა მჭიდრო და მნიშვნელოვანი კავშირები აპოB/აპოA-I თანაფარდობასა და მეტს-ის კომპონენტებს შორის, თავად მეტს-სა და ინსრ-თან როგორც განმარტებებთან (ყველა მონაცემისთვის $p < .0001$) (ცხრილი 6). ეს ფაქტები ასევე დასტურდება სხვა ავტორების მიერ (350, 353, 354, 360, 361).

მაშასადამე, მომატებული აპოB/აპოA-I თანაფარდობა წარმოადგენს მეტს-ის მნიშვნელოვან მახასიათებელს და შესაძლოა გვაძლევდეს დამატებით ფაქტებს გაზრდილი კარდიოვასკულური რისკის ასახსნელად ამ სინდრომის მქონე სუბიექტებში.

ინსრ-ის სისშირე მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდება (218, 257, 362-365). კვლევები მიუთითებს, რომ ინსრ მჭიდროდაა დაკავშირებული აპოB/აპოA-I თანაფარდობასთან, მეტაბოლურ სინდრომთან და ლიპიდურ მაჩვენებლებთან. Sierra-Johnson et al. შეისწავლეს 2.955 ზრდასრული (საშუალო ასაკი 47 წელი; მათგან 1.457 ქალი) დიაბეტის გარეშე აშშ-ს ეროვნული ჯანმრთელობის და ნუტრიციის შემოწმების კვლევა-III პოპულაციაში. აღმოჩნდა, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა იყო ინსულინრეზისტენტობის დამოუკიდებელი პრედიქტორი ასაკისა და რასის მონაცემების კონტროლის შემდეგ, და რჩებოდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მეტს-ის კომპონენტებთან, ტრადიციულ და ანთების რისკ-ფაქტორებთან შემდგომი კონტროლის შემდეგ (366). ანალოგიური შედეგები ვნახეთ ჩვენს კვლევაშიც.

აპოB/აპოA-I თანაფარდობის და დსლ-ის head to head ანალიზმა HOMA2-IR კვარტილებს შორის (ცხრილი 4) აჩვენა, რომ ინსრ-ლ სუბიექტებში რისკის შეფასებისას და მკურნალობისას აქცენტი უფრო მეტად უნდა გაკეთდეს აპოB/აპოA-I თანაფარდობაზე, ვიდრე დსლ-ზე, რადგან ამ უკანასკნელის დონე შესაძლოა იყოს „ოპტიმალურ“ ან „ოპტიმალურთან ახლოს“ ფარგლებში. ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ შესაძლებელია მაღალი რისკის მქონე პაციენტების გამოვლენა აპოB/აპოA-I თანაფარდობის მიხედვით (\geq

1.12 მამაკაცებში და ≥ 1.0 ქალებში, $p < .0001$). ეს მონაცემები შეესაბამება სხვა ავტორების მონაცემებს (353).

მცირეა კვლევების რაოდენობა, რომლებიც ფოკუსს აკეთებს აპოB/აპოA-I თანაფარდობის ოპტიმალურ ზღვრულ მაჩვენებელზე მეტს-ისა და ინსრ-ის დიაგნოსტიკისთვის (უმეტესად ასეთი კვლევები ჩატარებული იყო აზიურ ეთნიკურ ჯგუფებში).

Pitsavos et al. (367) ATTICA-ს კვლევაში შეისწავლეს აპოB, აპოA-I და აპოB/აპოA-I თანაფარდობის კავშირი მეტს-თან. ROC მრუდის ანალიზის გამოყენებით, მათ დაადგინეს, რომ ApoB/ApoA-I თანაფარდობა იყო საუკეთესო დიაგნოსტიკური მარკერი მეტაბოლური სინდრომისთვის და ოპტიმალური განმასხვავებელი ზღვრული მაჩვენებელი ამ თანაფარდობისთვის იყო 0.72 (74% სენსიტიურობით და 67% სპეციფიურობით).

Yin et al. (368) გამოიკვლიეს 160 ჩინელი ახალგაზრდა ქალი პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომით. მათ დაასკენეს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა იყო კარგი პრედიქტიული მარკერი მეტაბოლური და პრე-მეტაბოლური სინდრომისთვის, ამასთან აპოB/აპოA-I თანაფარდობის ზღვრული მაჩვენებელი მეტს-თვის იყო 0.63 (86.2% სენსიტიურობით და 79.4% სპეციფიურობით), ხოლო პრე-მეტს-თვის კი - 0.58.

Jung et al. (369) გამოიკვლიეს 10.940 კორეელი სუბიექტი, რომლებიც მონაწილეობდნენ რუტინულ სამედიცინო შემოწმებაში (სკრინინგში). მათ აღმოაჩინეს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებელი მეტს-ის დადგენისთვის იყო 0.65 (63.5% სენსიტიურობით და 61.3% სპეციფიურობით) მამაკაცებში და 0.62 (67.9% სენსიტიურობით და 61.9% სპეციფიურობით) ქალებში.

Kim et al. (370) ჩატარეს რეტროსპექტიული კვლევა 41.821 კორეელ ზრდასრულებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ რუტინულ სამედიცინო შემოწმებაში (სკრინინგში). მათ აღმოაჩინეს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებელი მეტს-ის დადგენისთვის იყო 0.64 (74.1% სენსიტიურობით და 67.4% სპეციფიურობით) ქალებში და 0.72 (64.3% სენსიტიურობით და 59% სპეციფიურობით) მამაკაცებში. აპოB/აპოA-I თანაფარდობის მრუდის ქვედა არეები (AUC) ინსრ-ითვის იყო 0.58 მამაკაცებში

და 0.62 ქალებში. ამ კვლევაში აპოB/აპოA-I თანაფარდობის AUC-ები მეტს-ისა და ინსრ-თვის მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო ქალებში ვიდრე მამაკაცებში, რაც მიუთითებს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობის პრედიქტიული ღირებულება მეტს-ისა და ინსრ-თვის უფრო მაღალი იყო ქალებში მამაკაცებთან შედარებით. ჩვენს კვლევაში ეს ტენდენცია ნანახი იქნა მხოლოდ ინსრ-ის შემთხვევაში (AUC-ები: 0.89 ქალებში და 0.816 მამაკაცებში).

Jing et al. (371) შეისწავლეს 8.120 სუბიექტი ჩინეთის ჯანმრთელობის და ნუტრიციის კვლევაში 2009 წელს. მათ აღმოაჩინეს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა > 0.85 მამაკაცებში და > 0.80 ქალებში იყო პრედიქტორული მარკერი მეტს-ის დიაგნოსტიკისთვის.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობის მრუდსკვედა არეები (AUC) ინსრ-თვის მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, ვიდრე იგივე მონაცემები მეტს-თვის, რაც მიუთითებს, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობის პრედიქტორული ღირებულება ინსრ-ის განსაზღვრისთვის უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეტს-თვის ორივე სქესის შემთხვევაში ($p < .0001$).

ამ მონაცემების დასადასტურებლად საჭიროა შემდგომი კვლევები სხვა ეთნიკურ ჯგუფებშიც, რაც მოგვცემს ეთნიკურ განსხვავებებს აპოB/აპოA-I თანაფარდობის ზღვრული მაჩვენებლის თვალსაზრისით მეტს-ისა და ინსრ-ის დიაგნოსტიკისთვის.

ამ კვლევას აქვს რამოდენიმე ნაკლოვანება. გამოანგარიშებული HOMA ინდექსი კარგად მაგრამ მაინც არასრულყოფილად კორელირებს ინსულინ-სენსიტიურობის მაჩვენებლებთან ეუგლიკემიური კლემპის მიხედვით, რომელიც ითვლება ინსულინსენსიტიურობის შეფასების “ოქროს სტანდარტად”. აგრეთვე, სუბიექტების შერჩევა მოხდა არა ზოგადი პოპულაციიდან, არამედ კლინიკის ვიზიტორთა კონტინგენტიდან.

თავი 5. დასკვნები

1. კვლევამ აჩვენა, რომ აპო /აპო-I თანაფარდობა, მეტაბოლური სინდრომის კომპონენტები, დსლ, სქ, ასაკი და სქესი ასოცირებული არიან ინსულინრეზისტენტობასთან, და აპო /აპო-I თანაფარდობა მათ შორის ყველაზე ძლიერად და ამავე დროს დამოუკიდებლად სხვა კომპონენტებისგან.
2. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ აპო /აპო-I თანაფარდობა მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ კავშირშია მეტაბოლურ სინდრომთან, მის კომპონენტებსა და დსლ-თან ორივე სქესის ჯგუფში.
3. კვლევამ პირველად საქართველოში საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ქვეყნის პოპულაციაში აპო /აპო-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებლები მეტს-ის დადგენისთვის არის 0.74 ქალებში და 0.82 მამაკაცებში; ინსრ-ის დადგენისთვის იგივე მაჩვენებლები არის 0.82 ქალებში და 0.98 მამაკაცებში.

თავი 6. რეკომენდაციები

აპოB/აპოA-I თანაფარდობის დამოუკიდებელი და ძლიერი ასოციაცია ინსულინრეზისტენტობასთან და მეტაბოლურ სინდრომთან თვალსაჩინოს ხდის იმ ფაქტს, რომ ეს თანაფარდობა უნდა იყოს გამოყენებული როგორც მეტაბოლური სინდრომის ვალიდური კომპონენტი და ინსულინრეზისტენტობის დამატებითი დიაგნოსტიკური კრიტერიუმი. ასევე, ინსრ-ლ სუბიექტებში რისკის შეფასებისას და მკურნალობისას აქცენტი უფრო მეტად უნდა გაკეთდეს აპოB/აპოA-I თანაფარდობაზე, ვიდრე დსლ-ზე. დღესდღეობით საერთაშორისო გაიდლაინებში უპირატესობა ენიჭება დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინს და არა-მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინს, თუმცა აპოB ასევე ნახსენებია როგორც დისლიპიდემიის ერთერთი შესაძლო, მაგრამ არა აუცილებელი განმსაზღვრელი (372-375).

დისლიპიდემიის განსაზღვრისას უფრო აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული აპოB და აპოA-I, როგორც უფრო მაღალი რისკის მარკერი, განსაკუთრებით დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინთან (რაც ხშირად მეტს-ის დროს ნორმული ან დაბალია), ტრიგლიცერიდებთან და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინთან შედარებით. ახალ გზამკვლევებში უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული აპოB, აპოA-I, და აპოB/აპოA-I თანაფარდობის გამოყენების შესაძლებლობა, და ამ მონაცემების კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვა.

